ს ა რ ბ ი ე ლ ი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 7 სექტემბერი 2005 №204 (2527) ფასი 50 თეთრი



## აბ-ამბავი

რა ნახა არჩი ჯემილმა გასახდელში

8



## თავისუფლები ბუდაპეშტამდე ერთ ლიკანსაც მოასწრებენ

თურმანიძემ შვიდეული ბოლო შეკრებამდე დაასახელა

14



## ჟირინოვსკი ტაისონს — მთელი ამერიკა ილუკება და რუსეთში დარჩიო

15

# კინალამდელი ღამე

## დანიელებმა თითები გაამზადეს: ოთხი, ხუთი... დღეს საქართველო გაიტანს თუ გამოიტანს?



ქახა ჯალამბერიძე კოპენჰაგენიდან

დანიელები თავიანთი ახალგაზრდებისგან დიდანგარიშიან მოგებას ელოდნენ, მაგრამ 1:0-ზეც მადლობა უნდა თქვან. კობა ჟორჟიკაშვილის ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს და შეიძლება ითქვას, არწასაგები მატჩი წააგეს.

ამ მოგებამ დანიას ჯგუფში პირველი ადგილი გაუნაღდა, ქართველ 21-წლამდელთა ბირთვი კი ორ დღეში ესტონეთში გაფრინდება, სადაც 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩები ელით. კობა ჟორჟიკაშვილმა ნამატჩევს სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება, ესტონეთში ყველანაირად მომზადებულები მივდივართო.

იხილეთ მე-2 გვერდი



მირზა ბჟალავამ (№7) ახალგაზრდულ ნაკრებს კინაღამ ქულა მოაპოვებინა

# მაკედონია საქართველოს ხავსია



დღეს ქართველი ქომაგი ყურებჩამოყრილი ხვდება ბალკანელ კალათბურთელებთან მატჩს, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მაკედონიის უეჭველ დამარცხებას ითხოვს. იქნებ ეს მოგება მხოლოდ გულის მოსაფხანი აღმოჩნდეს და მაინც მაკედონია გავიდეს ჯგუფიდან, მაგრამ მცირე სასწაულიც შეიძლება მოხდეს და ბალკანელებმა ბოლო ტურში ფინეთთან შინ წააგონ. ასეთ შემთხვევაში საქართველოს, ფინეთისა და მაკედონიის ნაკრებებს თანაბარი ქულები დაუგროვდებათ და ყველაფერს ურთიერთშეხვედრებში ჩაგდებული ბურთები გადაწყვეტს.

იხილეთ მე-13 გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# კინაღამ სენსაცია

ფარუმი. 6 სექტემბერი. 19 საათი. ფარუმ პარკი. 1 200 (ტევადობა 10 000)

## დანია U21 1:0 საქართველოU21

1:0 ი. პოულსენი (67)

**დანია:** ელეგაარდი, ჰანსენი, ტროესტი, იაკობსენი, პოგი (კაგარა 32), ი. პოულსენი, ვურცი, კამპერი (ბრამერი 90), სორენსენი (კიგესენი 77), ლორენცენი, ს. პოულსენი

*სათადარიგონი:* ტ. რასმუსენი; კილსტრუპი, ვ. იორგენსენი

**მწვრთნელი:** ფლემინგ სერისტლევი

**საქართველო:** რევიშვილი, მჭედლიშვილი (ელბაქიძე 75), ხიდეშელი, თომაშვილი, ელიავა, განუგრავა (გოცირიძე 46), ჩირიკაშვილი, მახარაძე, ბუალავა, ფიფია, წინამძღვრიშვილი (გრიგალაშვილი 80)

*სათადარიგონი:* თევდორაძე; ხოხონიშვილი, ლაფერაშვილი, გიორგიძე

**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**გაფრთხილება:** ბუალავა (33)

**მსაჯები:** კ. თეოდორუ; ს. პროკოპიუ, ვ. არგორუ; ა. დუმიტრიუ (ყველა კვიპროსი)



კახა შალამბერიძე

*კოპენჰაგენიდან*

**თამაში** დაიწყო და, ქართველები კარგა ხანს აკონტროლებდნენ ბურთს, თუმცა სახიფათოს ვერაფერს გამოირჩნენ. დანიელები, რომლებსაც „ახალ ელკიაერად“ მონათლული ფორვარდი მორტენ რასმუსენი აკლდათ, ბურთის მოხელთებისთანავე სწრაფად გადადიოდნენ შეტევაზე, თუმცა ქართველები ახერხებდნენ ტემპის დაგდებას და ბურთი უმეტესად მოედნის ცენტრში ტრიალებდა.

მე-9 წუთზე სტუმრებმა პირველი მომენტიც შექმნეს — რატი წინამძღვრიშვილი მცველებს გაექცა, მაგრამ საბოლოოდ კუთხურს დასჯერდა. ქართველები ჯგუფის ლიდერებს არც ბურთის ფლობაში ჩამორჩებოდნენ და არც ბრძოლაში, ანუ საწყისი თამაში გახურდა. ტაიმის შუაწელს ზაალ ელიავას საჯარიმოდან ჩაწოდებულზე კახა მახარაძემ თავური ოდნავ გადააცილა დანიელთა კარს. მერე და მერე პატარა „დინამიტები“ უფრო ამოძრავდნენ და შმაგად შეუტიეს, თუმცა რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მიუყვანიათ — სულ შორიდან და არაზუსტად ურტყამდნენ.

მეორე ნახევარში ჟორჟიკაშვილმა ნახევარმცველი გიორგი განუგრავა ფორვარდ ბექა გოცირიძით შეცვალა, ხოლო ფიფია თავდასხმიდან უკან დაწია. 49-ე წუთზე დანიელებმა პირველად დაარტყეს კარის ჩარჩოში, თუმცა ნუკრი რევიშვილმა ფრანკ ჰანსენს არ გაატანინა.

ფლემინგ სერისტლევის გუნდის უპირატესობა გამოიკვეთა, მასპინძლებმა ბურთი დაიჭირეს და პირველი რეალური მომენტიც შექმნეს: 62-ე წუთზე იაკობ სორენსენი რევიშვილთან პირისპირ დარჩა, დაარტყა და დავით მჭედლიშვილმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

ხუთ წუთში კი რევიშვილიც უძლური იყო: მსაჯმა საიდანღაც ჯარიმა გამოიგონა და იაკობ პოულსენმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა — 1:0.

ქართველებმა გასათანაბრებლად გაიწიეს, დრო რჩება, მაგრამ ძალები თუ არის სამყოფი?.. 77-ე წუთზე სიმონ ბუსკ პოულსენს შეეძლო თამაშის მომთავრება: რევიშვილმა მისი დარტყმული უხეიროდ კი მოიგერია, მაგრამ იმავ პოულსენის დამატებულზე მკვდარი ბურთი გამოაძრო. მალევე ნუკრიმ მიქაელ კიგესენის გასროლილი მოიგერია.

და მაინც, ქართველებს გოლის გატანა შეეძლოთ და თანაც რა იოლად: მირზა ბუალავამ პასს კარში დარტყმა ამჯობინა და ელეგაარდმა გადაარჩინა მასპინძლები.

*ფლემინგ სერისტლევი:* ქართველებისგან ასეთ კარგ თამაშს ველოდი. ვიცი, ისინი ჩვენზე პატარები არიან ასაკით, მაგრამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. განსაკუთრებით მეკარე და 10 ნომერი (რატი წინამძღვრიშვილი) მომეწონა.

*კობა ჟორჟიკაშვილი:* შედეგით ვერ ვიქნები კმაყოფილი, მაგრამ კარგად კი ვითამაშეთ. ვფიქრობ, წინა მატჩთან შედარებით, დაცვა გაცილებით ორგანიზებულად გამოიყურებოდა, დანიელ ფორვარდებს სივრცეს უზღუდავდნენ.

**უკრაინა 0:0 თურქეთი**

**ყაზახეთი 1:2 საბერძნეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27:10 | 25 |
| უკრაინა | 11 | 6 | 2 | 3 | 17:7 | 20 |
| თურქეთი | 11 | 5 | 3 | 3 | 14:8 | 18 |
| საბერძნეთი | 10 | 5 | 2 | 3 | 14:7 | 17 |
| საქართველო | 10 | 3 | 2 | 5 | 7:18 | 11 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:21 | 8 |
| ყაზახეთი | 10 | 1 | 0 | 9 | 6:18 | 3 |

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**I ჯგუფი**
ფინეთი 2:0 მაკედონია

**III ჯგუფი**
რუსეთი 0:1 პორტუგალია
ლატვია 0:0 სლოვაკეთი

**IV ჯგუფი**
ირლანდია 1:2 საფრანგეთი
კვიპროსი 1:5 შვეიცარია

**V ჯგუფი**
ბელარუსი 1:1 იტალია
ნორვეგია 0:1 შოტლანდია

**VI ჯგუფი**
პოლონეთი 3:2 უელსი
აზერბაიჯანი 0:0 ავსტრია
გერმანია 1:1 ინგლისი

**VII ჯგუფი**
ესპანეთი 2:0 სერბეთი
ლიტვა 1:0 ბოსნია
ბელგია 5:0 სან მარინო

**VIII ჯგუფი**
მალტა 0:1 ხორვატია
ბულგარეთი 1:3 ისლანდია

**ინგლისი**

II ლიგა
VII ტური
ჩესტერი 1:2 გრიმსბი

**გერმანია**

სამხრეთ რეგიონალლიგა
V ტური
აუგსბურგი 1:0 კარლსრუე (მ)





მორტენ ოლსენი და ტომას სორენსენი უეჭველ სამ ქულას ელიან

# ვის დაჰკარგვიხართ?
## დანია უკვე გოლებს ითვლის

**კახა შალამბერიძე** *კოპენჰაგენიდან*

**ქართველების** მეკარეს ბურთის კარიდან გამოტანის გარდა საქმე არ ექნება — ასე იმუქრება დანია. მთელ კოპენჰაგენში ერთ კაცს ვერ ნახავთ, ძნელი თამაშის შიში რომ ჰქონდეს. ჩვეულებრივ მოგებას ვინ ჩივის, 0:4 ან 0:5 გარანტირებული გაქვთო, ასე ამბობს ასიდან ასი კაცი.

ასეა, დანიელებმა საქართველოსთან საქმე უკვე „მოათავეს“ და ცალი თვალი უკრაინისკენ უჭირავთ — ოლეგ ბლოხინს მაგარი გუნდი ჰყავს და იმედია, ჩვენს უშუალო კონკურენტ თურქეთს ქულებს დასცინცლავსო.

კოპენჰაგენში საათიდან საათამდე იზრდება მატჩისადმი ინტერესი. „პარკენზე“ 40 000 კაცი ეტევა და გუშინ 25 000 ბილეთი უკვე გაყიდული იყო. როგორც ამბობენ, სტადიონი ბოლომდე შეივსება. მატჩამდელი პრესკონფერენცია არ გამართულა, უბრალოდ, დანიელ ჟურნალისტებს არ მოუთხოვიათ. ერთი კოლეგაც არ გვინახავს ჩვენების ვარჯიშზე, საქართველოს ნაკრებისადმი ინტერესი ოდნავადაც არ იგრძნობა. აქედანაც ჩანს, რომ სტუმართა კარში გოლების „ალლუმს“ ელიან.

დანიის დედაქალაქში სითბოა, აქაური კლიმატის კვალობაზე ცხელა კიდეც. ეგაა, ცივი საღამოები იცის, ტემპერატურა სადღაც 17-დან 20 გრადუსამდე მერყეობს.

„პარკენზე“ დანიაში მცხოვრები რამდენიმე ქართველიც იქნება და ჩვენ ნაკრებს დროშების ფრიალით გაამხნევებს.

გაიოზ დარსაძის გუნდში კი მასპინძელთა გულარხეინობას არხეინადვე უყურებენ. მწვრთნელმაც და ფეხბურთელებმაც იციან, რომ უძნელესი თამაში ექნებათ, მაგრამ საბრძოლველად მზად არიან. საბედნიეროდ, ტრავმები არაა: ერთადერთი, გუშინ ზურაბ მენთეშაშვილს ფეხი სტკიოდა, მაგრამ საშიში არაფერია — იგი თამაშს შეძლებს.

და კიდევ: თუ სასწაული არ მოხდა, ეროვნულ ნაკრებთა მატჩს არც ერთი ქართული ტელეკომპანია არ გადასცემს. თავად დანიელებმა თქვეს, სამივე არხმა — „რუსთავი 2“-მა, „იმედმა“, „პირველმა არხმა“ — ტრანსლაციის უფლების ყიდვაზე უარი თქვაო.

ახლა დანიელ ფეხბურთელთა კომენტარებზეც ვთქვათ: მეკარე ტომას სორენსენი ამბობს, საქართველოს ნაკრები დაცვით ფეხბურთს თამაშობს, ამიტომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული და ვალდებულები ვართ, სამი ქულა ავიღოთო.

მასპინძელთა თავკაცი მორტენ ოლსენი ოდნავ თავშეკავებულია: „მჯერა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ჯგუფის დარჩენილ მატჩებში ექსპერიმენტებს მიმართავს. მათგან ტაქტიკურ გადაადგილებებს და სხვადასხვა კომბინაციებს უნდა ველოდოთ. იმედია, სხვა უპირატესობასთან ერთად იღბალიც ჩვენ მხარეს იქნება“.

მოკლედ, დანიელებს თუ დავუჯერებთ, თამაში უკვე წაგებული გვაქვს. რამდენიმე საათში გავიგებთ...



2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

# ოტო რეჰაგელი: კილომეტრებმა არ უნდა შეგვაწუხოს



**თუ** ყაზახეთმა კუსავით ფეხი არ გამოყო, დღეს საბერძნეთმა უნდა მოიგოს.

მატჩისწინა პრესკონფერენცია ბერძენთა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა ათენში გამართა. მისი ნაუბარი ასეთი გახლდათ:

— ტრაიანოს დელასის გარდა ყველა ფეხბურთელი ჩემ განკარგულებაშია. მათ უკვე ველაპარაკე ყაზახეთთან მატჩის მნიშვნელობაზე და ვხედავ, თუ რა ანთებულნი არიან მოსაგებად. ყაზახეთთან გამარჯვება ჩვენთვის აუცილებელია, რათა ყაზახეთის მერე დარჩენილ ორ შეხვედრაში გერმანიაში მოხვედრის შანსი შევვრჩეს. ყველა თამაშში ბევრი გოლი ვერ გაგვაქვს, მაგრამ ჩვენი მიზანია, ძლიერი დაცვა გვყავდეს, რაზეც უნდა დავაშენოთ ჩვენი შესაძლებლობები შეტევაში. ისიც სიმართლეა, რომ ამას ყოველთვის ვერ ვახერხებთ, მაგრამ ყაზახეთს უნდა მოვუგოთ.

— როგორც შემატყობინეს, ყაზახეთი ჩვენგან 3000 კილომეტრითაა დაშორებული და ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნის, მაგრამ შეწუხების მიზეზს არ გვაძლევს.

შეგახსენებთ, ყაზახეთის მერე ბერძნები 8 ოქტომბერს დანიას ესტუმრებიან, 12-ში კი ქართველებს უმასპინძლებენ.

**დავით თავართქილაძე**

# სავსე და ალესილ კიევს უეჭველად უნდა მოვუგოთ

საქართველო — უკრაინის 3 სექტემბრის მატჩის შემდეგ ანდრეი შევჩენკო მილანში გაფრინდა, ფეხი მტკივა და თუ გამიარა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოვალ კიევში თურქებთან სათამაშოდო — ცხადია, შევჩენკო კიევში არ ჩასულა და უკვე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაშლიგინებულ უკრაინას დღეს „შევა" თურქებთან არ ეყოლება.

მაგრამ ეს დიდი ვერაფერი შეღავათი უნდა იყო თურქეთისთვის — უკრაინის ნაკრებმა თბილისიდან შინ მუნდიალის საგზური ჩაიტანა და დღეს კიევში სტადიონი უნდა გაივსოს.

გარდა ამისა, უკრაინელთა თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა თქვა, თურქებთან რამდენიმე ისეთ ფეხბურთელს ვათამაშებთ, ხშირად რომ არ უწევდათ ნაკრებში თამაშიო. ანუ, ოსმალოებს თამაშმოწყურებულ და გერმანია 2006-ზე ნაკრებში მოსახვედრად ალესილ სლავებს დაუპირისპირებენ.

თურქეთის ნაკრები ახლა მეორე ადგილზე კია, მაგრამ ზურგსუკან ბერძნების და დანიელების სუნთქვასაც კარგად გრძნობს. თურქებს უკრაინელების მერე სტუმრად ალბანეთთან აქვთ სათამაშო და ამით ამთავრებენ შესარჩევ ციკლს.

„უკრაინა და ალბანეთი უეჭველად უნდა დავამარცხოთ" — ასეთი თამამი განცხადება გააკეთა თურქთა მთავარსარდალმა ფათიჰ თერიმმა.

თურქებს არ ეყოლებათ პლეიმეიკერი ილდარაი ბაშთურქი, ვინც შაბათს დანიასთან დაშავდა. თერიმი დანიელებთან 2:2-ის შემდეგ უკმაყოფილოა და შემადგენლობას ალბათ ცოტათი გადაასხვაფერებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

***უკრაინა:*** *შოვკოვსკი, ფიოდოროვი, ნესმაჩნი, იეზერსკი, რუსოლი, გუსინი, ტიმოშჩუკი, როტანი, შიშჩენკო, ვორონინი, ბელიკი.*

***თურქეთი:*** *ვოლქანი, ჰამიტ ალტინტოპი, იბრაჰიმი, ალფაი, უმით ოზატი, ოკან ბურუქი, თუმერი, სელჩუკი, ჰასან შაში, შუქური, თეკე*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 10 | 7 | 3 | 0 | 16:4 | 24 |
| თურქეთი | 10 | 4 | 5 | 1 | 12:9 | 17 |
| საბერძნეთი | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 15 |
| დანია | 9 | 3 | 4 | 2 | 15:10 | 13 |
| ალბანეთი | 10 | 4 | 0 | 6 | 9:17 | 12 |
| საქართველო | 9 | 2 | 3 | 4 | 13:18 | 9 |
| ყაზახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 4:25 | 0 |





დღეს კიევში ულიდერო თამაშია — თურქებს ბაშთურქი არ ეყოლებათ, უკრაინელებს შევჩენკო

ბადრი კეთილაძის ფოტო



ნაკრებს მიღმა დარჩენილი არველაძე აგვისტოს პოსტსაბჭოეთში მეორეა

# შოთასთვის მეორეობა ნაბოლარობაა

## რუსებმა არველაძეს რუსი ამჯობინეს

**რუსული** „სპორტ ექსპრესის" ყოველთვიური გამოკითხვით პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფეხბურთელთა შორის მეორე ადგილზე შოთა არველაძე გავიდა. „ალკმაარის" ქართველი ბომბარდირი ოდენ ერთი ქულით ჩამორჩა სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" ფორვარდ ანდრეი არშავინს.

„სპორტ ექსპრესის" ჟურნალისტმა შოთას ბლიც-ინტერვიუ ჩამოართვა. ჩვენიანს გული დასწყდა, მეორე ადგილზე გასვლა ჩემთვის იგივეა, რაც ბოლოადგილოსნობაო. ჟურნალისტის კითხვას, რატომ არ იწვევენ მას საქართველოს ნაკრებში, შოთა ასე პასუხობს — მიზეზი არ ვიცი, ნაკრებიდან ჩემთვის არავის დაურეკავს.

ერთ კვირაში „ალკმაარი" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელად რუსულ „კრილიას" გაეჯიბრება, სადაც ომარ თეთრაძე თამაშობს.

„მე და თეთრაძეს ერთად გვივარჯიშია, შეკრებებზეც ვყოფილვართ ერთად, თუმცა იშვიათადღა ვხვდებით ერთმანეთს. ომარს ჩემი უფროსი ძმა, რეზო უფრო კარგად იცნობს" — ამბობს შოთა.

**ილია ნანობაშვილი**

# ბერძენთა ჭმუნვა

## მთავარია დანია, თორემ საქართველოს...

**ბერძნულ** „ქსანთიში" მოთამაშე მარჯვენაფლანგელ ლევან მაღრაძეს ეროვნულ ნაკრებში აღარ იძახებენ, თუმც მას საბერძნეთში მაინც დავუკავშირდით და იქაურ ამბებზე დავეკითხეთ.

— ყველა მწვრთნელს საკუთარი აზრი აქვს და ნაკრებში რომ აღარ მიძახებენ, ამაზე სხვას ვერაფერს გეტყვით. „ქსანთიში" კი ყველაფერი კარგად მიმდის, საბერძნეთის ჩემპიონატში პირველი თამაში მოვიგეთ და მეც ნორმალურად ვითამაშე. რაც შეეხება საბერძნეთის ნაკრებს, როცა მან საქართველოს თბილისში მოუგო, ბერძნულ პრესაში დაიწერა, ჩვენებმა ისე ითამაშეს, როგორც ნამდვილმა ევროპის ჩემპიონებმაო. ახლა კი საბერძნეთის ნაკრებს აკრიტიკებენ, ყველაზე უფრო იმის გამო, გოლის გატანა უჭირსო. ბერძნებისთვის ყველაზე მთავარია, რომ ყაზახეთის მერე დანიას მოუგონ. ჩვენზე ამბობენ, ბოლო თამაშში საქართველოს ულაპარაკოდ დავამარცხებთო.



# ამერი სამეულის გუნდია

## კონსტანტინე დარსანიას ქართულ-ბულგარული პარალელები



თბილისის „ამერის“ ბოლო საამსეზონო შენაძენი, 21 წლის ნახევარმცველი კონსტანტინე დარსანია წინა სეზონში ბულგარულ „ჩერნო მორეში“ თამაშობდა. მისი გადაბირება ჯერ თბილისის „დინამოს“ სურდა და თითქოს ეს საქმე გადაწყვეტილი იყო, მაგრამ დარსანია დღეს „ამერშია“ და თავს კარგადაც გრძნობს

„ძალიან კარგ გუნდში მოვხვდი. სულაც არ ვნანობ, „დინამოში“ რომ ვერ ჩავირიცხე. ამაზე ლაპარაკი აღარც მინდა — თან „ჩერნო მორედან“ გათავისუფლების ფურცელმა დააგვიანა, თან რაღაც სხვა პრობლემებიც იყო. როგორც ვხედავ, „ამერსა“ და „დინამოს“ შორის განსხვავება თითქმის არაა. ერთნაირი პირობები და ერთნაირი ამბიციებია“ — ამბობს თბილისელთა ახალწვეული, რომელმაც „ამერი 2“-ში უკვე ითამაშა „ზესტაფონი 2“-თან 1:0 მოგებულ მატჩში.

დარსანიას „ამერში“ თითქმის ყველაფერი მოსწონს და მიაჩნია, რომ გუნდი სამეულში დაამთავრებს ჩემპიონატს: „კლუბში ყველაფერი მაღალ დონეზეა და ყველანაირი შანსი გეძლევა, რომ მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრო. მწვრთნელ გიორგი ჩიხრაძეს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მოთამაშეებთან, მთლიანობაშიც „ამერი“ მეგობრული გუნდია. გიორგი დეკანოსიძეს, ალეკო კოშკაძეს, სულიკო დავითაშვილს და კიდევ რამდენიმე ამერელს დიდი ხანია ვიცნობ. სამეული? რატომაც არა. „დინამო“ მაინც „დინამოა“, „ლოკომოტივიც“ სიმპათიური გუნდია, თუმცა შესაძლოა, სხვა კონკურენტებიც გამოჩნდნენ.“

კონსტანტინეს იმედი აქვს, რომ „ამერის“ ძირითადში მოხვდება — სხვა შემთხვევაში აქ არც ჩამოვიდოდიო. ბულგარეთიდან საქართველოში ჩამოსვლას კი უკანგადადგმულ ნაბიჯად არ მიიჩნევს.

„წინა სეზონში „ჩერნო მორეში“ 7 გოლი გავიტანე და შემეძლო, იქ დავრჩენილიყავი, მაგრამ თავად არ ვისურვე. ბულგარელებს ჩემთან 2+1-წლიანი კონტრაქტის გაფორმება უნდოდათ, მე კი ექვს თვეზე ან მაქსიმუმ ერთ წელიწადზე ვიყავი თანახმა. მერე ბულგარეთშივე „ბელასიცას“ და „სლავიას“ ვარიანტებიც გამიჩნდა, მაგრამ ჩემმა მენეჯერმა მამუკა ჯუღელმა ამ კლუბებში გადასვლა არ მირჩია“.

დარსანია ბულგარეთში არ დარჩა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მათ ჩემპიონატს საქართველოზე ძლიერად მიიჩნევს. მთავარ განსხვავებას კი ფეხბურთით დაინტერესებაში ხედავს, თორემ სათამაშო დონე მაინცდამაინც არც იქაა მაღალიო. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სლავთა ჩემპიონმა სოფიის ცსკა-მ ამას წინათ „ლივერპულს“ სტუმრად მოუგო.

„ბულგარეთში უფრო მეტად უყვართ ფეხბურთი, ვიდრე საქართველოშიო, ამას ვერ ვიტყვი, თუმც დაინტერესება იქ უფრო დიდია. ბილეთები მატჩამდე ერთი კვირით ადრე იყიდება, აქ კი 100-200 კაცი ძლივს იკრიბება სტადიონზე. ბულგარეთში ყველა კლუბი მოძრაობაშია, სპონსორების მოძიებაში არიან, ინვესტიციები იდება, მეორე ლიგის გუნდებსაც კი აქვთ ნორმალური პირობები, საქართველოში კი 2-3 გუნდია ფინანსურად და ინფრასტრუქტურულად გამართული.

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა აგვისტოში ლიტვაში, პალანგის ტურნირში ითამაშა, ხოლო ოქტომბერში ბელგიაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ელის. ერთი სიტყვით, მთავარ გამოცდამდე დიდი დრო აღარ დარჩა. პალანგის ტურნირზე და საბელგიო მზადებაზე „სარბიელის“ კითხვებს 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მელიქია პასუხობს



# სამზადისი და ინდივიდუალიზმი

## ლევან მელიქიას საბელგიო გეგმები

**— პალანგის ტურნირში გუნდი წარუმატებლად გამოვიდა და რა იყო ამის მიზეზი?**

— ტურნირში რვა გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ჩვენი ჯგუფი უფრო ძლიერი იყო — ლატვია, პოლონეთი, რუსეთი და საქართველო. მეორე ჯგუფში ლიტვა, აზერბაიჯანი, უკრაინა და ბელარუსი გამოდიოდნენ. ჯგუფში სამივე თამაში წავაგეთ, მერე კი უკრაინას 3:1 მოვუგეთ.

**— რომელი კლუბების ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პილანგის ტურნირში?**

— ორ-ორი ფეხბურთელი გორის „დილადან“ და „ოლიმპიკიდან“ გვყავდა, სამი „ამირანიდან“, ერთი „ვიტ ჯორჯიადან“, დანარჩენები კი „ზესტაფონიდან“.

**— პალანგაში წარუმატებლობის მიზეზი ალბათ მხოლოდ ის არ იყო, რომ ძლიერ ჯგუფში მოხვდით...**

— რა თქმა უნდა. ოქტომბერში გასამართი შესარჩევი ტურნირისთვის გუნდს მზადება იანვარ-თებერვალში უნდა დაეწყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ჩვენ ივლისიდან დავიწყეთ მზადება და აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გავაკეთეთ. ამიტომაც იყო, რომ პალანგაში შეთამაშება გვაკლდა და მთლიანობაში სათანადოდ მომზადებულებიც არ ვიყავით. პალანგაშიც სწორედ შესათამაშებლად წავედით, შედეგი ცუდი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი პოტენციალი დავინახე.

**— ალბათ ხარვეზებსაც დაინახავდით — შესარჩევი ეტაპისთვის გუნდის შემადგენლობა შეიცვლება?**

— ვფიქრობ, ცვლილებები იქნება. შესარჩევი ეტაპის ჯგუფში ჩვენი მეტოქეები ბელგია, ავსტრია და ბულგარეთი არიან. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის, მაგრამ ფინალურ ეტაპზე კი არა, მეორე შესარჩევ ეტაპზე, სადაც სამგუნდიანი ჯგუფები იქნება.

**— როგორც შევიტყვეთ, პალანგაში თბილისის „დინამომ“ არ გამოუშვა ფეხბურთელები...**

— კლუბმა გადაწყვიტა, რომ მის ფეხბურთელებს „დინამოში“ გაევლოთ მოსამზადებელი ეტაპი. არა მგონია, რომ „დინამომ“ ბელგიაშიც აღარ გამოუშვას ფეხბურთელები.

**— როგორ ფიქრობთ, შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპულად თამაშს შეძლებს?**

— პალანგაში პოლონეთსაც ვეთამაშეთ და ვფიქრობ, ბელგიაში ჩვენი მეტოქეებიც იგივე სტილში ითამაშებენ. მაგრამ ისიცაა, რომ ბელგია ამ შესარჩევი ეტაპისთვის ორი წელი ემზადებოდა, ჩვენ კი მზადებას ივლისიდან შევუდექით.

**— საქართველოს ნაკრები ამ ასაკში ორჯერ გავიდა ფინალურ ეტაპზე...**

— ეს ახლაც შესაძლებელია. ამასწინათ იტალიაში, ახალგაზრდების ოლიმპიურ ფესტივალზე ოქროს მედლები მოვიპოვეთ და იქ ექვსი 1989 წელს დაბადებული ფეხბურთელიც გვყავდა, იმ ასაკის, რომლითაც 17-წლამდელთა ნაკრებია დაკომპლექტებული. იტალიაში სწორი ტაქტიკის გარდა ინდივიდუალიზმითაც გავედით ფონს, მაგალითად, რატი წინამძღვრიშვილმა სწორედ ინდივიდუალურად გადაწყვიტა ბევრი რამ შეტევაში. მოკლედ, ჩვენი ფეხბურთელების ინდივიდუალიზმის დიდად გვეიმედება.

**— როგორ ფიქრობთ, 17-წლამდელთა ნაკრების გაახალგაზრდავებაცაა შესაძლებელი?**

— არა, ჩვენ მხოლოდ ორ-სამ 1990 წელს დაბადებულ ფეხბურთელს თუ ავიყვანთ, რომლებიც მზად არიან ერთი წლით უფროსებთან სათამაშოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგი ნული იქნება.

**— ბელგიაში წასვლის წინ შეკრება დაგეგმილი გაქვთ?**

— ამ საკითხს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გადაწყვეტს.

**— არც ამხანაგური თამაშებია დაგეგმილი?**

— ჯერ არა, მაგრამ გვინდა, რომ სამი საერთაშორისო მატჩი ვითამაშოთ იმ ინტერვალით, რითაც ბელგიაში მოგვიწევს სამი თამაშის გამართვა. თუ ეს არ მოხერხდა, ქართულ გუნდებთან ვითამაშებთ, ოღონდ ოდნავ უფროსებთან.

**— რა იქნება მთავარი მიზანი ბელგიაში, მომდევნო ეტაპზე გასვლა?**

— მთავარი მიზანი ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენაა, რა თქმა უნდა, წარმატებისთვისაც ვიბრძოლებთ.

**დავით თავართქილაძე**

# ბათუმელთა მინუს სამი

**ფინანსურად** მოძლიერებულ „ბათუმს“ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატება შეეტყო, ოთხ ტურში 7 ქულას მოუკრა თავი და გუნდის მთავარი მწვრთნელი ამირან გოგიტიძე ამბობს, ჩვენი მიზანი ექვსეულში შესვლა იქნებაო.

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ზღვისპირელებს ახალი ფეხბურთელი არ დაუმატებიათ. პირიქით, სამი ახალწვეული გაუშვეს — დავით დათვაძე, ლევან შავგულიძე და ლაშა ჩხაიძე.

კლუბის უცხოელი ინვესტორი ბათუმში ჯერ არ ჩასულა, თუმცა მათი წარმომადგენლები, ზურაბ ჯაფარიძე და ბადრი ქარქაშაძე აგვარებენ საქმეებს. ამბობენ, ზამთრიდან „ბათუმი“ შემადგენლობას გააძლიერებსო.

**ლუკა თალაკვაძე**



ამირან გოგიტიძე

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

## უჩეხო ჩეხეთი



რუუდ ვან ნისტელროი ალბათ დღესაც გაიხარებს

### I ჯგუფი

**ჰოლანდია — ანდორა**

სავარაუდო შემადგენლობა

**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, ბულარუზი, ოპდამი, დე კლერი, სნეიდერი, მადურო, ვან დერ ვაარტი, კოკუ, კუიტი, ვან ნისტელროი, რობენი.

**ჩეხეთი — სომხეთი**

**ჩეხეთი:** ბლაჟეკი, ბოლფი, გრიგერა, უიფალუში, პოსპიშილი, პობორსკი, ზელენკა, შმიცერი, ჰაინცი, ბაროში, კოლერი.

**ფინეთი — მაკედონია**

**პაველ ნედვედის**, ტომაშ როსიცკისა და ტომაშ გალაშეკის გარეშე მოთამაშე ჩეხეთი რუმინეთთან დამარცხდა. ნედვედი სომხეთთანაც არ იქნება, როსიცკისა და გალაშეკის ამბავს კი ექიმი გაარკვევს. ტრავმირებული მეკარე პეტრ ჩეხი „ჩელსის“ დაუბრუნდა, ხოლო მარეკ იანკულოვსკი — „მილანს“. აი, ასეთი ჩეხეთი დაუხვდება სომხეთს, თუმც კარელ ბრიუკნერის გუნდს მოგება მაინც არ უნდა გაუჭირდეს. მასპინძელთა მწვრთნელმა პრაღის „სპარტადან“ ნახევარმცველ ლუკაშ ზელენკას უხმო, კარში კი ალბათ იარომირ ბლაჟეკი ჩადგება.

სომხეთთან ოდენ 1:0-ის შემდეგ ჰოლანდიელები ანდორის „დასაბომბად“ ემზადებიან. „ნებისმიერ მატჩში ჩვენი მიზანია საამო ფეხბურთის თამაში და მოგება. ერევანში ეს არ გამოგვივიდა, ანდორასთან კი შევძლებთ“ — განაცხადა დირკ კუიტმა.

ტრავმამოშუშებული არიენ რობენი დღეს ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება: „სათამაშოდ მზად ვარ, თუმც მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს“ — თქვა ჩელსელმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 9 | 8 | 1 | 0 | 21:3 | 25 |
| რუმინეთი | 11 | 7 | 1 | 3 | 19:10 | 22 |
| ჩეხეთი | 9 | 7 | 0 | 2 | 28:9 | 21 |
| ფინეთი | 9 | 4 | 1 | 4 | 16:14 | 13 |
| მაკედონია | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | 8 |
| ანდორა | 10 | 1 | 2 | 7 | 4:27 | 5 |
| სომხეთი | 10 | 1 | 1 | 8 | 5:21 | 4 |



პორტუგალიელთა შემტევი წყვილი, დეკო №20 და პედრო პაულეტა

## მე ვხედავ მზეს

### III ჯგუფი

**რუსეთი-პორტუგალია**

სავარაუდო შემადგენლობა

**რუსეთი:** აკინფეევი, ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, ანიუკოვი, იგნაშევიჩი, სმერტინი, იზმაილოვი, ბილიალეტდინოვი, ტიტოვი, არშავინი, კერჟაკოვი

**პორტუგალია:** რიკარდო, ანდრადე, პაულუ ფერეირა, ალექსი, კარვალიუ, კოშტინია, მანიშე, დეკო, კრისტიანო რონალდო, ფიგუ, პაულეტა

**ლატვია - სლოვაკეთი**

**ლიხტენშტაინი — ლუქსემბურგი**

**რუსები** სარევანშოდ ემზადებიან. შარშანდელი 1:7 ყელში გასჩხერიათ, მაგრამ ექვსბურთიანი სხვაობით მოგებაზე კი არა, მხოლოდ სამ ქულაზე ფიქრობენ.

„ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვებაზე თანახმა ვარ — თქვა სიომინმა — 1:0 და ნაღდი იყოს“.

„მთავარია, სამი ქულა — განაცხადა სმერტინმა — მნიშვნელობა არ აქვს, 1:0 იქნება თუ 7:0“.

„სამაგიეროს გადახდის დროა — ალნიშნა ეგორ ტიტოვმა — 1:7 რომ წავაგეთ, ჩვენი საქმე მას აქეთ არია“.

ტიტოვს ნაკრებში დაახლოებით ორი წელი გაუცდა. 2003-ის ნოემბერში, უელსთან მატჩის შემდეგ, სისხლში აკრძალული პრეპარატი, ბრომანტანი აღმოაჩნდა. 2004 წლის იანვრიდან დისკვალიფიცირებული იყო და სასჯელის ვადა რვა თვის წინ გაუვიდა. ცხადია, ნაკრებში აღარ უხმობდნენ, თუმც „სპარტაკში“ ითამაშდა და იური სიომინმაც გამოიძახა. ოთხი დღის წინ ლიხტენშტეინთან შეცვლაზე შეუშვა, დღეს კი სავარაუდოდ ძირითად შემადგენლობაში გაამწესებს.

ლუიშ ფიგუმ, რომელსაც ნაკრებში 114-ჯერ უთამაშია, თქვა: „უმძიმეს ბრძოლას ველით. მაგრამ გამარჯვება გვსურს“.

ლუის ფელიპე სკოლარი „მოსაგებად ჩამოვედით, თუმც ფრეც კარგი იქნება. მე უკვე ვხედავ სინათლეს იმ გვირაბის ბოლოში, შესარჩევი ეტაპი რომ ჰქვია“. ლუქსემბურგთან მატჩის შემდეგ სკოლარი ერთი ფეხბურთელის შეცვლას აპირებს. ნუნო ვალენტეს მაგივრად დაცვაში ალექსი ითამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 9 | 7 | 2 | 0 | 30:4 | 23 |
| რუსეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 18:11 | 18 |
| სლოვაკეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 19:6 | 15 |
| ლატვია | 10 | 4 | 2 | 4 | 17:17 | 14 |
| ესტონეთი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | 11 |
| ლიხტენშტეინი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | 5 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 0 | 8 | 3:35 | 0 |

## ლენსდაუნ როუდზე კინი-კინობაა



ტიერი ანრიმ თავი დაიზღვია

### IV ჯგუფი

**ფარერები — ისრაელი**

**კვიპროსი — შვეიცარია**

სავარაუდო შემადგენლობა

**შვეიცარია:** ცუბერბიულერი, მანინი, სენდეროსი, მიულერი, დეგენი, ვიკი, იაკინი, ფოგელი, ბარნეტა, ვინლანტენი, ფრეი

**შვეიცარია** შაბათს, ისრაელთან ნათამაშევი 1:1-ის შემდეგ, კვიპროსთან გამარჯვებით გეგმავს ნაყლაპი სიმწრის გატკბილებას. ვერ მოიგებს და გერმანიაში წამსვლელი ადგილებისთვის თავ-პირის მტვრეველ ჯგუფში ძალიან გაუძნელდება რაიმე სახეიროსთვის ხელის გამოკვრა. არადა, ისრაელთან რომ მოეგოთ, კობი კუნის ბიჭები ირლანდიასა და საფრანგეთზე ორი ქულით წინ იქნებოდნენ.

„არის რამდენიმე რამ, რისი გაკეთებაც უკეთესად გვმართებს, ვიდრე ისრაელთან ვაკეთებდით, — უთხრა კუნმა ნიქოზიაში შეკრებილ ჟურნალისტებს, — კერძოდ ჩვენთვის სახიფათო ადგილებში აღარ უნდა დაკჯარიმდეთ, ბურთის შენარჩუნების ხერხები დაკვირვებით უნდა გამოვიყენოთ, და ცალკეულ ფეხბურთელებს შორის უფრო მეტი კავშირები უნდა გამოინახოს“

როგორც შვეიცარიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, კუნი კვიპროსზე უპირატესად იმავე შემადგენლობას ათამაშებს, შაბათს ბაზელში რომ ათამაშა, თუმცა სავარაუდოდ იქნება ცვლილებაც: დისკვალიფიკაციამოხდილი რაფაელ ვიკი, ალბათ, დანიელ გიგაქსის ადგილს დაიკავებს. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს ციურიხის „გრასჰოპერის“ გამთამაშებელი რიკარდო კაბანასი, რომელიც მერე თუ გამოჩნდება მოედანზე.

რაც შეეხება კვიპროსს, მართალია მას თავად არაფერი უნდა, მაგრამ ვინაიდან და რადგანაც დარჩენილ სამ შეხვედრაში სამივე ლიდერს ანუ საგზურის მაძიებელს ხვდება, შეუძლია თქვას ეს გავა, ის კი არაო. მოკლედ, ანგარიშგასაწევია.

დღევანდელ მეტოქეთა მარტის შეხვედრა ციურიხში ალექსანდერ ფრეის მიერ 87-ე წუთზე გატანილი გოლის წყალობით შვეიცარიელთა გამარჯვებით დასრულდა. როგორც ხედავთ კვიპროსმა გვარიანად იბრძოლა და ბუნებრივია შინ, საკუთარი მაყურებლის წინაშე მეტად მობილიზებული და სახიფათო იქნება.

**ირლანდია — საფრანგეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ირლანდია:** გივენი, კარი, კანინგემი, ობრეინი, ოში, ფინანი, როი კინი, კილბეინი, დაფი, რობი კინი, მორისონი

**საფრანგეთი:** კუპე, სანიოლი, ტურამი, ბუმსონგი, გალასი, ვიეირა, მაკელელე, დორასო, ზიდანი, ვილტორდი, ანრი

**ამ** თამაშზე ბოლო დღეებში ბევრი დავწერეთ, ეს კი იმიტომ მოხდა, რომ შესაძლოა ჯგუფიდან გამსვლელ-დამრჩენების ბედი მნიშვნელოვანწილად სწორედ დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ გადაწყდეს. რა და როგორ მოხდება კაცმა არ იცის, ის კი ცნობილია, რომ ბევრს ფავორიტად საფრანგეთის ნაკრები მიაჩნია, ვინაიდან მას შთაგონების წყარო ზინედინ ზიდანი, მეომარი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე და მსოფლიო კლასის მცველი ლილიან ტურამი დაუბრუნდნენ. ფრანგთა ფავორიტობა საკამათოა? კი ბატონო, მაგრამ მოდი საკითხს იმ ექვსი გოლის კუთხიდანაც შევხედოთ, რომელიც ფრანგებმა ბოლო ორ, ზიდანიან მატჩში გაიტანეს. ექვსი გოლი კი, უნდა ითქვას, რომ უზიდანო ფრანგებს შესარჩევი კამპანიის საწყის ექვს მატჩში ვაი-ვაგლახით ჰქონდათ გატანილი.

„ირლანდიელებთან თამაშს უკიდურესად თავმოყრილნი ვხვდებით, — განაცხადა ცნობილმა თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ, თუმცა იქვე დასძინა, — მეორე მხრივ, ჩვენი ამოცანა სულაც არ არის ნებისმიერ ფასად გოლის გატანა“.

როგორც ბოლო დღეებში ვწერდით, ფრანგებს აქვთ პრობლემები: ზემოთნაქები ლილიან ტურამისა და ლივერპულელი ჯიბრილ სისეს თამაში. ეს ორი მაღალი კლასის მოთამაშე შაბათს, ფარერის კუნძულებთან შეხვედრაში დაშავდა და ამ წუთისაც უცნობია, შეძლებენ თუ არა ისინი მოედანზე გასვლას.

ირლანდიელთა პლუსი კი კინებია, რობი და როი. მათ, ამასწინათ, იტალიასთან ამხანაგური თამაში გამოტოვეს, მაგრამ ახლა გამოჯანმრთელდნენ და ითამაშებენ. ირლანდიური პრესა საგანგებოდ აქცევს ყურადღებას იმას, რომ „ლენსდაუნ როუდზე“ ერთმანეთის პირისპირ წარსდგებიან „არსენალის“ ყოფილი მეომარი ვიეირა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ კინი. ეს ცხადია სახალისოა, თუმცა საეჭვოა ფსიქოლოგიურად მართლა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 7 | 3 | 4 | 0 | 14:5 | 13 |
| ირლანდია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:4 | 13 |
| საფრანგეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 8:1 | 13 |
| ისრაელი | 8 | 2 | 6 | 0 | 11:9 | 12 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |
| ფარერები | 8 | 0 | 1 | 7 | 3:23 | 1 |

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# დელ პიერო შინაა



ალესანდრო დელ პიერო (მარცხნივ) ისევ დაშავდა



იონ კარეუს №10 ნორვეგიის გადამწყვეტი მატჩი ელის

**V ჯგუფი**

**ბელარუსი — იტალია**

საპარაუდო შემადგენლობა

**იტალია:** პერუცი, ძაკარდო, ნესტა, კანავარო, გროსო, კამორანეზი, პირლო, გატუზო, ტოტი, ჯილარდინო, ტონი

**ნორვეგია — შოტლანდია**

**მოლდოვა — სლოვენია**

**ბელარუსთან** ალესანდრო დელ პიერო ვერ ითამაშებს. გლაზგოში დაბანაკებული იტალიის ნაკრების ფორვარდმა ვარჯიშისას ტრავმა მიიღო და შინისაკენ გაეშურა.

„მე დავშავდი და ტურინში ვბრუნდები" — განუცხადა მან იტალიური სააგენტო ANSA-ს კორესპონდენტებს.

ამბობენ, რომ იტალიელთა თავკაცი, მარჩელო ლიპი დელ პიეროს შემცვლელს არ გამოიძახებს.

„ალექსის დაშავებამ ძალიან დამწყვიტა გული, — განაცხადა ლიპიმ, — ბოლო დღეების მანძილზე ვაკვირდებოდი და ვხედავდი, რომ საუცხოო ფორმაში დგებოდა. ახლა მეკითხებიან დელ პიეროს არყოფნაშიც სამი თავდამსხმელით ვითამაშებთ თუ არა. როგორ გითხრათ, ალექსს გარკვეული თვისებები აქვს, რომელთა გამოყენებასაც ვაპირებდი. ახლა იძულებული ვარ რაიმე სხვა მოვიფიქრო. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული გლაზგოური მატჩისგან განსხვავებული ხერხებით გადავწყვიტო ამოცანები. შემადგენლობას სულ ბოლო ვარჯიშამდე ამიტომ ვერ დაგისახელებთ."

აღსანიშნავია, რომ ვარჯიში, რომელზეც დელ პიერო დაშავდა, იტალიელთათვის გვარიანად ნავსიანი გამოდგა. ტურინელის დაშავებიდან ცოტა ხანში „მილანის" მცველმა ალესანდრო ნესტამ მაჯა იტკინა. მაგრამ ამის მიუხედავად, როგორც ამბობენ იგი შემადგენლობაში იქნება.

ნახევარდაცვაში დისკვალიფიცირებული დანიელე დე როსის ნაცვლად ალბათ, მაურო კამორანეზი ითამაშებს.

„ჯანლუკა ძამბროტასა და დანიელე დე როსის არყოფნა იძულებითი ცვლილებების აუცილებლობის წინაშე მაყენებს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ერთი-ორი ამდაგვარი ვარიანტი უკვე ნაფიქრი მქონდა. ისე კი, ჩვენ შვიდი ქულა გვჭირდება და საიდან მოვიტანთ, ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, — დასძინა ლიპიმ, — ერთი რამ მინდა დარწმუნებით მოგახსენოთ, მინსკში, პირველივე წუთებიდან ისევე ვიბრძოლებთ მოგებისთვის, როგორც გლაზგოში ვიბრძოლეთ"

სქოთებს კი ოსლოში ის თამაში აქვთ, ინგლისურად „მასთ ვინ" რომ ჰქვია და თავადაც ამ სიტყვებს რომ იმეორებენ — აუცილებლად უნდა მოვიგოთო. ოღონდ, ამ მატჩზე გასაყვანი შემადგენლობის დასახელებისთვის სტუმრების მწვრთნელს, ვალტერ სმიტს შეძლებისდაგვარად დაცდა მოუწევს, უნდა შეიტყოს, გამოჯანმრთელდება თუ არა ნაიჯელ ქუონი. ქუონის იტალიასთან 1:1-ის შემდეგ არ უვარჯიშია.

დისკვალიფიკაცია მოიხადა სტივენ პრისლიმ, ასე, რომ დაცვის ცენტრის საქმე მოგვარებულია. სამაგიეროდ დისკვალიფიცირებულია კრისტიან დეილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სმიტი 4-1-4-1 სისტემას შეცვლის და დაცვას სამ კაცამდე შეამცირებს.

ნორვეგიელებს დისკვალიფიცირებულნი ჰყავთ იან ინგე ჰოილანდი, ერიკ ჰაგენი და სლოვენიაში გამარჯვების გოლის ავტორი, თავდამსხმელი მორტენ გამსტ პედერსენი.

**პაატა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 4 | 2 | 1 | 10:6 | 14 |
| ნორვეგია | 7 | 3 | 3 | 1 | 9:5 | 12 |
| სლოვენია | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:9 | 7 |
| შოტლანდია | 7 | 1 | 4 | 2 | 4:5 | 7 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 2 | 4 | 3:11 | 5 |

# ოუენის ადგილი

**VI ჯგუფი**

**პოლონეთი — უელსი**

საპარაუდო შემადგენლობა

**პოლონეთი:** ბორუკი, იოპი, ბაკი, კლოსი, რჟასა, კოსოვსკი, სობოლევსკი, შიმკოვიაკი, სმოლარეკი, ჟურავსკი, რასიაკი.

**უელსი:** კოინი, პერტრიჯი, გაბიდონი, დაფი, პეიჯი, გიგზი, რიკეტსი, ფლეტჩერი, რობინსონი, საიმონ დევისი, ერნშოუ ან კრეიგ დევისი.

**ჩრდ.ირლანდია — ინგლისი**

საპარაუდო შემადგენლობა

**ინგლისი:** რობინსონი, იუნგი, კარაგერი, ფერდინანდი, ეშლი კოული, ჯერარდი, ბექემი, ლამპარდი, ჯო კოული, ოუენი, რუნი.

**აზერბაიჯანი — ავსტრია**

**სასჯელმოხდილი** მაიკლ ოუენი ნაკრებს დაუბრუნდა, რის გამოც სვენ გორან ერიკსონს ეგებ ერთი ფეხბურთელის ამოგდება მოუხდეს იმ შემადგენლობიდან, რომელმაც უელსს მოუგო.

უელსთან შონ რაიტ-ფილიპსმა საუცხოოდ ითამაშა, მაგრამ მის ადგილას ალბათ მაინც ოუენი დაიკავებს. რუნი-ოუენის წყვილი თუ აღდგა, ნახევარდაცვა ოთხკაცა გახდება.

და მაინც, მწვრთნელს ოუენის ფორმასთან დაკავშირებით ეჭვი ღრღნის.

„ოუენს ძირითადში ადგილს რატომაც არ ვანდობ, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ თავიდან ბოლომდე გაძლებს. მას ხომ ოფიციალური, ნაღდი ბრძოლით სავსე თამაშებში მონაწილეობა არ მიუღია. მეორე მხრივ, ოუენი ის ფეხბურთელია, რომელსაც გოლების გატანა საუცხოოდ ეხერხება, განსაკუთრებით კი იმ გოლებისა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ. მოკლედ, ჯანმრთელადაცაა და... ერთი სიტყვით, ხვალამდე უნდა დავიცადოთ და ვნახოთ"

შემდეგ ერიკსონმა ტაქტიკურ საკითხებზე გაამახვილა ყურადღება.

„ვიცი, რომ ჩვენთვის ყველაზე სასურველი განლაგება 4-4-2 იქნება, მაგრამ ამ ტაქტიკის ეფექტურობისთვის სამი ძალიან მომზადებული ცენტრალური ნახევარმცველია საჭირო. მათ მოედნის დიდი ნაწილის დაფარვა დასჭირდებათ. ჩვენთან... სტივენ ჯერარდი ახალი გამოჯანმრთელებულია და ვერც ფრენკ ლამპარდი თამაშობს ისე, გასული სეზონის ბოლოში რომ თამაშობდა."

კარდიფულ მატჩში ერიკსონმა ხუთი ნახევარმცველი ათამაშა, რამაც ფეხბურთელები ცოტა დააბნია კიდეც, ახლა კი შვედი ნაკრებს ალბათ მაინც 4-4-2-ზე გადააწყობს. უელსის კარში გოლის გამტანი ჯო კოული ძირითად შემადგენლობაში იქნება. აქვე ვთქვათ, რომ ინგლისს ბელფასტში 1927 წლის შემდეგ არ წაუგია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 7 | 0 | 1 | 25:7 | 21 |
| ინგლისი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 |
| ავსტრია | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 11 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 3 | 3 | 7:13 | 6 |
| უელსი | 7 | 0 | 2 | 5 | 5:12 | 2 |
| აზერბაიჯანი | 8 | 0 | 2 | 6 | 1:19 | 2 |



მაიკლ ოუენი (წინ) ნაკრებს დაუბრუნდა

# 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

# კეჟმანმა წინასწარ მოიბოდიშა

VII ჯგუფი

**ესპანეთი — სერბეთი**

სავარაუდო შემადგენლობა

**ესპანეთი:** კასილიასი, პუიოლი, სალგადო, მარჩენა, დელ ორნო, ხოაკინი, ხაბი ალონსო, ვისენტე, ხავი, რაული, ფერნანდო ტორესი

**სერბეთი:** იევრიჩი, ვიდიჩი, გავრანჩიჩი, კრსტაიჩი, დრაგუტინოვიჩი, ჯორჯევიჩი, დულიაი, სტანკოვიჩი, ილიჩი, მილოშევიჩი ან ზიდიჩი, კეჟმანი

**ლიტვა — ბოსნია**

**ბელგია — სან მარინო**

**დღეს** ლუის არაგონესის ესპანეთის ნაკრები მუნდიალის მე-7 შესარჩევი ჯგუფის ლიდერ სერბეთს „ვისენტე კალდერონის" მადრიდულ არენაზე უმასპინძლებს. კასტილიელები და ბალკანელები აქამდე მხოლოდ ერთხელ, ბელგრადში შეხვდნენ, თუმცა, თუ ილია პეტკოვიჩის გუნდს ძველი იუგოსლავიის ნაკრების მემკვიდრედ ჩავთვლით, „კალდერონის" სტუმარ-მასპინძელს დღევანდელის ჩათვლით სულ 20 ოფიციალური ჯახი დაუგროვდება. ამჟამად სრბეთს 4 გამარჯვების და 3 ფრის მერე 15 ქულა აქვს და ევროპულ შესარჩევში ერთადერთი გუნდია, რომელსაც საკუთარ კარში გოლი არ მიუღია.

თავის მხრივ, ესპანეთმა 3 მოგებით და 4 ფრით 13 ქულას მოუყარა თავი და მეორე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ პეტკოვიჩის შეგირდების შემდეგ კასტილიელებს კიდევ ორი მატჩი ელით, ამ შეხვედრის შედეგს მათთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების შემთხვევაში ესპანეთს გერმანიის მუნდიალამდე ერთი ნაბიჯილა დარჩება. ფრე ან დამარცხება ადგილობრივთათვის კატასტროფას ჯერ არ ნიშნავს, ოღონდ ქულათა სავარაუდო დაკარგვის მერე ეს გუნდი მარტო თავის თავზე აღარ იქნება დამოკიდებული, მე-7 ჯგუფის დანარჩენი მატჩების შედეგებს უნდა დაელოდოს გულისფანცქალით. ხსენებულ შესარჩევ ექვსეულში კი ჯერჯერობით გაურკვეველი ვითარებაა და წყალწაღებული სან-მარინოს გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსს ყველა ინარჩუნებს...

ესპანურმა გაზეთებმა ნაკრების მხცოვანი დამრიგებელი ლუის არაგონესი უკვე მრავალჯერ გააკრიტიეს. პრესამ „ელ საბიოს" (მეცნიერი) კანადასთან ამასწინანდელი ულიმღამო მატჩი დაუწუნა. თან არაგონესს გადასარევი შეხვედრები არც მუნდიალის ჯგუფში ჩაუტარებია. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებს წაგება რა უნახავს, ბოსნიასთან, ლიტვასთან და სერბეთთან დამთავრებულმა უმწეო ფრეებმა არაგონესს საქმე გაუფუჭა და მედიაც ეროვნული გუნდიდან მის ჩამოცილებას მოითხოვს. დღეს არაგონესი სერბთა მეგოლის, მატეა კეჟმანის წინააღმდეგ დაცვაში სალგადოს, პუიოლის, მარჩენას და დელ ორნოს ოთხეულს გამოიყვანს, კარში კი კასილიასი იდგება. ნახევარდაცვის ფლანგებზე ხოაკინი და ტრავმამორჩენილი ვისენტე ითამაშებენ, ცენტრში — ხავი და ხაბი ალონსო. თავდასხმაში თავიდან რაულ-მორიენტესის შეჩვეული წყვილი ვერ იბურთავებს, რადგან მორიენტესი გუშინ საღამოს დაშავდა ასე, რომ ლუისი მშობლიური „კალდერონზე", „ატლეტიკოს" ფორვარდ ფერნანდო ტორესს გამოიყვანს. ასევე „ათლეტი" ოღონდ სერბი კეჟმანი თავის ესპანელ გულშემატკივრებს კარგ ბურთაობას შეჰპირდა, თუმც წინასწარ მოუბოდიშა — თქვენს ნაკრებს გოლი აუცილებლად უნდა გავუტანო და ნუ გეწყინებათო.

სერბებს თავდასხმაში სხვა ვარსკვლავიც ჰყავთ, სავო მილოშევიჩი, მაგრამ მთავარი მაინც მომხვდურთა დაცვის ხაზია. შეგახსენებთ, რომ გორან გავრანჩიჩის, ვიდიჩის, კრსტაიჩისა და დრაგუტინოვიჩის „გაუვალი კედელი" მეკარე დრაგოსლავ იევროიჩის მეთაურობით 7 მატჩის განმავლობაში ინახავს კარს მშრალად...

ჯგუფის დარჩენილი ორი მატჩიდან ან კი ლიტვისა და ბოსნიის ნაკრების შეხვედრა უნდა გამოვარჩიოთ. ბალკანელთა გამარჯვების შემთხვევაში, ეს გუნდი მაქსიმალურად მიუჩოჩდება და მუნდიალზე მოხვედრის შანსებს ერთიორად გაიუმჯობესებს.

იმედი ჯერ არც ბელგიელებს დაუკარგავთ, რომლებიც ალბათ ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაამარცხებენ სან მარინოს. ასე რომ, სავარაუდოდ, ამ ჯგუფში ყველაფერი უკანასკნელ ტურში გაირკვევა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 12:0 | 15 |
| ესპანეთი | 7 | 3 | 4 | 0 | 10:2 | 13 |
| ბოსნია | 7 | 2 | 4 | 1 | 8:8 | 10 |
| ლიტვა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| ბელგია | 7 | 2 | 2 | 3 | 7:8 | 8 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 2:23 | 0 |



ლუის არაგონესი



მატეა კეჟმანი

# ბრძოლა ომის წინ

VIII ჯგუფი

**უნგრეთი — შვედეთი**

**მალტა — ხორვატია**

**ბულგარეთი — ისლანდია**

**მერვე** ჯგუფში პირველი ადგილისთვის გააფთრებული ბრძოლაა გაჩაღებული. შვედეთიცა და ხორვატიაც შესაშურ ფორმაში იმყოფებიან. ასე რომ, რაიმეს ვარაუდი ძალიან ძნელია. ყველაფერი ალბათ ამ ნაკრებების ურთიერთშეხვედრაში გადაწყდება, რომელიც 8 ოქტომბერს ზაგრებში გაიმართება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხორვატები მეტოქეზე ერთი ქულით წინ არიან, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ზლატკო კრანჩარის გუნდს მცირე უპირატესობა აქვს.

ამ გადამწყვეტ მატჩამდე კი დღევანდელი დღეა და ორივე ნაკრებს 3 ქულის მოპოვება მართებს. ხორვატებს მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეთ, რადგანაც წყალწაღებულ მალტას სტუმრობენ.

ასე მიიჩნევს თავად ზლატკო კრანჩარიც, რომელიც უკვე შვედებთან მატჩზე საუბრობს: „ეს ჩვენთვის გადამწყვეტი ბრძოლა იქნება და დიდი იმედი მაქვს, რომ მოვიგებთ. მიზანთან ჩვენ უფრო ახლოს ვართ, ვიდრე სკანდინაველები".

სამაგიეროდ, ალბათ მძიმე ბრძოლა ელით შვედებს. მართალია, უნგრეთს მუნდიალზე სასწაული თუ მოახვედრებს, მაგრამ ლოთარ მათეუსი და მისი შეგირდები მეტოქეს უბრძოლველად რომ არაფერს დაუთმობენ, ფაქტია. თანაც ბუდაპეშტში თამაში არცთუ ადვილი საქმე გახლავთ.

სკანდინაველების განწყობა ამაღლებულია და საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ ეპარებათ. შვედებს ვერ დაეხმარება გამოცდილი მცველი ერიკ ედმანი, რომელსაც სულ ახლახან შვილი შეეძინა და ამ ამბავს ზეიმობს.

**ჯარჯი ჩხაიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 6 | 1 | 0 | 19:4 | 19 |
| შვედეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 26:2 | 18 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 1 | 2 | 13:11 | 13 |
| ბულგარეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:14 | 8 |
| ისლანდია | 8 | 1 | 1 | 6 | 11:21 | 4 |
| მალტა | 8 | 0 | 1 | 7 | 2:30 | 1 |



შვედები დღესაც ჰენრიკ ლარსონისა (მარცხნივ) და ზლატან იბრაჰიმოვიჩის იმედზე არიან



# სალგადოს მონაჩმახი

**მიჩელ** სალგადო ტურინის „იუვენტუსში" გადადის, მაგრამ თან ვერ გადადის. ფეხბურთელმა გუშინწინ განაცხადა, კლუბები უკვე შეთანხმდნენ, იანვრიდან ექვსი თვით „იუვეს" მოთამაშე გავხდებიო, თუმცა ტურინელთა გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიმ „რეალის" მცველის ნათქვამს მონაჩმახი უწოდა: „მას ლაპარაკის უფლება აქვს, მაგრამ ჩემს კლუბში სატრანსფერო საქმეს მე ვაკონტროლებ და შემიძლია გითხრათ, რომ სალგადოს შეძენა ჩვენს გეგმაში არ შედის. „იუვენტუსი" ისედაც კარგი გუნდია".

მოჯის განცხადების მიუხედავად, ესპანური და იტალიური მედია არ გამორიცხავს ტრანსფერის შესაძლებლობას. „იუვეს" მარჯვენა მცველმა ჯონათან ძებინამ გასული სეზონში ტრავმიანმა ითამაშა და ბოლომდე ჯერაც ვერ გამოკეთდა. მისი შემცვლელი ალესანდრო ბირინდელი ისე დაშავდა, ნახევარი წელი მკურნალობა მოუწევს. ფაბიო კაპელოს ფედერიკო ბალძარეტილა შერჩა, რომელიც გამოცდილებით ვერ დაიკვეხნის.

**ვაჟა ხუციშვილი**

## იტალია

**სერია B. II ტური**

**ბოლონია 2:1 პესკარა**

1:0 ბელუჩი (45), 2:0 ძოპეტი (49), 2:1 კროკე (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლონია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ვიჩენცა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტრიესტინა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| კროტონე | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| კრემონეზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ბარი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ატალანტა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| კატანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მანტოვა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტერნანა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მოდენა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რიმინი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვერონა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| აველინო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| კატანძარო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ტორინო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბრეშა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| პესკარა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ალბინოლეფე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| არეცო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ჩეზენა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პიაჩენცა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

# ანჩელოტის რაიკაარდს უმზადებენ
## ბერლუსკონი ამბობს და არც ამბობს



ყოფილი თანაგუნდელები ფრანკ რაიკაარდი და კარლო ანჩელოტი

იტალიური „მილანის“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონისა და მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის შორის იდეალური ურთიერთობა რომ არ არის, თავადაც კარგად მოგეხსენებათ. მართალია, ყოველი ინციდენტის შემდეგ ორივე მხარე ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ...

აპენინური პრესა უკვე ალაპარაკდა, ანჩელოტი „სან სიროზე“ ბოლო სეზონს ატარებსო. გამოცდილ სპეციალისტს „მილანთან“ მოქმედი კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

სილვიო ბერლუსკონიმ კი მორიგი კომენტარი გააკეთა. ამჯერად ანჩელოტი არ გაუკრიტიკებია. პირიქით, შეაქო და კიდევ ერთხელ თქვა, ჩვენს შორის ყველაფერი კარგადაა, კარლო გუნდში რჩებაო. თუმცა იტალიის პრემიერ-მინისტრმა ბოლოს დაამატა, ჩვენი დარი შესაძლებლობის მქონე გუნდი უკეთ უნდა ბურთაობდესო.

„არანაირი უთანხმოება არ არსებობს, ყველაფერი ჟურნალისტების მონაჭორია, თუმც „მილანის“ შესაძლებლობის კლუბმა უნდა იცოდეს, როგორ აჯობოს მეტოქეს თითქმის ყველა მატჩში. ბურთის დაჭერა უნდა ვისწავლოთ“ — აღნიშნა ბერლუსკონიმ.

შემდგომ დონ სილვიო ამ სეზონზე გადაერთო და კონკურენტებზე თავისი აზრი გამოთქვა: „იუვე“ და „ინტერი“ ჩვენზე ძლიერები არ არიან. ვფიქრობ, სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო დღეებამდე ძალიან დაძაბული იქნება. ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, თუ როგორ აეწყობა საქმე ჩემპიონთა ლიგაში“.

ბოლოს კი ბერლუსკონიმ პაოლო მალდინიზეც თქვა. მოგეხსენებათ, „როსონერის“ ლეგენდარული კაპიტანი ამჟამად ტრავმირებულია და კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობს, თუმც პრეზიდენტი იმედიანადაა: „პაოლოს შეუძლია, ცოტა ხანი დაისვენოს და მერე დაუბრუნდეს მინდორს. მასზე არ ვღელავ, რადგანაც მჯერა, მალე დაგვიბრუნდება და კვლავ გუნდის ლიდერი გახდება. მინდა, ქომაგებიც დავაწყნარო, „მილანი“ კვლავ ძალიან ძლიერია, ისეთია, როგორადაც ვიცნობთ“.

იტალიურმა ჟურნალ-გაზეთებმა კი უკვე ანჩელოტის შემცვლელიც იპოვნეს. მათი აზრით, ეს ალბათ ფრანკ რაიკაარდი იქნება, რომელიც ფეხბურთელობისას, 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანების დასაწყისში ორ თანამემამულესთან, მარკო ვან ბასტენთან და რუუდ გულიტთან ერთად „მილანში“ ბრწყინავდა. ასე რომ, რაიკაარდს „სან სიროს“ ბინადრებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს და ეს ჭორები ეგებ არც ისე უსაფუძვლოა.

მოქმედი კონტრაქტის თანახმად, „რაიკაარდი „ბარსელონაში“ 2007 წლამდე უნდა დარჩეს, მაგრამ ახლა იგი კატალონიურ კლუბთან შეთანხმების კიდევ ორი წლით გახანგრძლივებას აპირებს. თუმცა, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, ჰოლანდიელ სპეციალისტს ყოველი სეზონის ბოლოს ექნება კლუბის დატოვების უფლება, რაც მას „მილანში“ გადასვლის საშუალებას აძლევს. ვთქვათ ისიც, რომ რაიკაარდი ახალი კონტრაქტით წელიწადში 42 მილიონ გირვანქას მიიღებს. ამჟამად მისი ჯამაგირი 850 ათასი გირვანქაა.

ბოლო დროს იმასაც ამბობდნენ „მილანი“ „ბარსელონასთვის“ არა მარტო მწვრთნელის, არამედ ორი ვარსკვლავის, ლიონელ მესისა და რონალდინიოს წართმევასაც აპირებსო. ეს ინფორმაცია კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ უარყო.

„ორივე ფეხბურთელი ძალიან მომწონს და გუნდში სიამოვნებით მოვიყვანდი, მაგრამ ეს ვერ მოხდება. თანაც ჩვენ ისედაც საკმარისად ძლიერები ვართ“ — თქვა გალიანიმ.

პაოლო მალდინის წასვლა კი არც გალიანის უნდა: „იმედია, იგი დარჩება. უბრალოდ, ახლა ტრავმა აწუხებს, მაგრამ ექიმებმა თქვეს, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. თუმცა იმასაც უნდა შევეგუოთ, რომ სამწუხაროდ პაოლოს ოდესმე მოუწევს კარიერის დასრულება, ეს ბუნებრივია“.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ „მილანის“ კიდევ ერთმა გამორჩეულმა მოთამაშემ, ჯენარო გატუზომ განაცხადა, შეიძლება კლუბი დავტოვოო...

ადრიანო გალიანი: „მისი სიტყვები არ გამკვირვებია, რადგანაც ამაზე ადრე გვისაუბრია და ვიცით, რას აპირებს ჯენარო. იმედია, მალე ყველაფერი გაირკვევა“.

დასასრულს, კიდევ ერთ ჭორზე ვთქვათ. ამბობენ, „მილანს“ გადაუწყვეტია, დაცვაში გარკვეული პრობლემები ტრაიანოს დელასის შემატებით გადაჭრას და აპირებს ბერძენი რომის „ლაციოს“ ცხვირწინ აიცალოს. „რომას“ ყოფილი ფეხბურთელი ამჟამად თავისუფალი აგენტია და მის მთავარ მსურველად სწორედ „ლაციო“ მიიჩნევა.

**გიორგი ძაძაძაძე**



უზბეკეთმა და ბაჰრეინმა ამაოდ ითამაშეს

# მსაჯმა და ფიფამ უზბეკეთს გამარჯვება წაართვეს...

**უზბეკეთი** და ბაჰრეინი მსოფლიოს ჩემპიონატის საპლეიოფო მატჩებს 8 და 12 ოქტომბერს ითამაშებენ. მოგახსენებთ, რომ ეს ორი აზიური გუნდი გერმანიის მუნდიალზე მოსახვედრად შაბათს, 3 სექტემბერს, შეხვდა ერთმანეთს, თუმცა მაშინ შეხვედრის დაბნეული არბიტრის, ტოსიმიცუ იოსიდას გამო დიდი აყალმაყალი ატყდა და ფიფამაც აზიელთა ბურთაობა ოქტომბრისთვის გადადო. იმ უზბეკთათვის უიღბლო მატჩში კი ტოსიმიცუმ ბაჰრეინის კარში პენალტი დანიშნა, უზბეკებმაც დაარტყეს, ოღონდ წესების დარღვევით და იოსიდამ თერთმეტმეტრიანის ხელახლა განმეორების ნაცვლად... რატომღაც ჯერარნახული ჯარიმა მოიგონა და ბურთი სტუმრებს ანუ ბაჰრეინის ეროვნულ გუნდს გადასცა. „რახან მსაჯმა ტექნიკური შეცდომა დაუშვა, მატჩი აუცილებლად უნდა გადათამაშდეს“ — აღნიშნეს ფიფას წარმომადგენლებმა. ამ ორომტრიალში ყველაზე დაზარალებული კი უზბეკეთის ნაკრებია. დამხვდურებმა ხომ ის ავადსახსენებელი მატჩი საბოლოოდ 1:0 მოიგეს...

„ეს სრული აბსურდია. ჯერ პენალტი წაგვართვეს, მერე კი ფიფამ განგვიცხადა, რომ თურმე მოგებული მატჩი ოქტომბერში თავიდან უნდა ვითამაშოთ. ყველაზე სამართლიანი ის იქნებოდა, ბაჰრეინისთვის 0:3 წაგება ჩაეთვალათ“ — ბობოქრობდნენ უზბეკთა ფეხბურთის ფედერაციის თავკაცები. თუმც ყოფილ საბჭოელთა მრისხანებას რა აზრი აქვს, მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაცია, ტოსიმიცუ იოსიდასგან განსხვავებით, თავის გადაწყვეტილებებს არ ცვლის ხოლმე...

**ლადო ხომერიკი**

# გვარდიოლას ახალი უიგანი



**34 წლის** პეპ გვარდიოლა მალე შეიძლება ინგლისური „უიგანის“ მოთამაშე გახდეს. ლეგენდარულმა კატალონიელმა ვეტერანმა ყატარული „ალ ალიდან“ წასვლის მერე გადაწყვიტა, კარიერა „მანჩესტერ სიტიში“ გაეგრძელებინა, თუმც მანჩესტერელებმა პეპს ოდენ ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზეს და უკმაყოფილო გვარდიოლამაც „სიტისთან“ დაკავშირების იდეა უარყო. დღეს „ბარსას“ ძველი კაპიტანი პრემიერლიგაში ახლად აღზევებული „უიგანის“ ორბიტაზეა — „პეპს ამასწინათ ვესაუბრე და განცვიფრებული დავრჩი, იმდენი რამ იცის ჩვენი კლუბის შესახებ. გვარდიოლას გამოცდილება ბევრ რამეში დაგვეხმარება და ამიტომაც ჩვენ მასთან მოლაპარაკებებს გავაგრძელებთ“ — განუცხადა „უიგანის“ მწვრთნელმა პოლ ჯეველმა ინგლისური „დეილი სტარის“ კორესპონდენტს. გვარდიოლამ „ბარსაში“ 1990-დან 2001 წლამდე ითამაშა, შემდეგ იტალიაში წავიდა და იქაურ „ბრეშასა“ და „რომას“ მობურთალი გახლდათ. 2004-ში ყატარულ „ალ აჰლის“ მიაკითხა, ხოლო აღმოსავლურ გუნდთან კონტრაქტის ამოწურვის მერე ხსენებული „სიტის“ და არგენტინული „რივერ პლეიტის“ სატრანსფერო სამიზნეზეც იყო, თუმც საბოლოოდ, როგორც ეტყობა, ისევ „უიგანს“ აირჩევს. ცნობისთვის — ალბიონური გუნდი პრემიერლიგაში წლეულს თავის ისტორიაში პირველად გამოდის.

**ლადო ხომერიკი**

# აბ-ამბავი
## რა ნახა ჯემილმა გასახდელში

**შოტლანდიის** ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა არჩი ჯემილმა სკანდალური ამბავი გამოამზეურა. ავტობიოგრაფიულ წიგნში — „საზღვრის ორი მხარე“ — ჯემილი წერს, რომ მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატზე მისმა ოთხმა თანაგუნდელმა აკრძალული აბები ყლაპა. ერთი მათგანი, ვილი ჯონსტონი, დოპინგ-ტესტზე „ჩავარდა“ და ჩემპიონატიდან მოაშთეს, მაგრამ რაკი მაშინ ტესტზე მხოლოდ თითო ფეხბურთელი გადიოდა, დანარჩენი სამი მყლაპავი გადარჩა.

„დავინახე, რომ გასახდელში ოთხმა მოთამაშემ აბები დალია. საბოლოოდ ვილი ჯონსტონი გამოიჭირეს, სამს კი სასჯელი ასცდა. საბედნიეროდ, თითო-თითო ფეხბურთელი გაჰყავდთ სისხლის ანალიზზე, თორემ შოტლანდია საქვეყნოდ შერცხვებოდა“ — თქვა თვითმხილველმა, მაგრამ დანარჩენი სამი თანაგუნდელის გვარები არ გაამხილა.

კენი დალგლიშმა, რომელიც არგენტინაში ჯემილთან ერთად ცხოვრობდა, განაცხადა: „ასეთ ბრალდებას დამტკიცება სჭირდება, მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მსმენია“.

ნაკრების ყოფილი ფორვარდი ჯო ჯორდანი: „რაკი ასეთი რამ თქვა, სჯობს, არჩიმ ყველაფერი ბოლომდე ახსნას და გვარები დაასახელეს“.



არჩი ჯემილი

58 წლის არჩი ჯემილი ამჟამად შოტლანდიის 19-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია. მისი წიგნი 12 სექტემბერს გამოვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პელე, რომელიც პელე არ იყო, მაგრამ პელე გახლდათ

## შავი ვარსკვლავების შავი ვარსკვლავი

*თუ მსოფლიოს ვარსკვლავთ-ვარსკვლავის სახელი გქვია, შეიძლება ძლიერ დაითრგუნო, მაგრამ... იმ შემთხვევაში თუ აბედი პელე ხარ ასე არ მოგივა. მეტიც, 1990-იან წლებში განელი ფორვარდი თავად გახლდათ ვარსკვლავი. უფრო გასაგები რომ იყოს ასე ვთქვათ: მისი გვარ-სახელის გაგონებაზე „ის პელე" არავის ახსენდებოდა. აბედი პელე სამჯერ — 1991, 1992 და 1993 წლებში — გახდა აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი და ევროპაშიც შავი კონტინენტის ახალი ტალღიდან ერთ-ერთმა პირველმა მოახდინა ნამდვილი შთაბეჭდილება. გერმანიაში იყო თუ მაშინდელი ევროპის უგამოჩენილეს კლუბ „მარსელში", პელე თავის სათქმელს ომახიანად ამბობდა.*

*მან 63-ჯერ ითამაშა ეროვნული გუნდის მაისურით, 1993 წელს „მარსელის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა, საუკუნის ბოლო წლებში კი ბურთის დევნას თავი დაანება და სამშობლოში საფეხბურთო აკადემია გახსნა. გარდა ამისა აბედი პელე ნაყოფიერად თანამშრომლობს განის ფეხბურთის ფედერაციასთან, ხოლო ფიფაში ეგრეთწოდებული ფეხბურთის კომისიის წევრია და ცოტა ხნის წინ ანტირასიზმის ელჩადაც დაინიშნა*



**— და მაინც, უფრო ზუსტად გვითხარით, რას აკეთებდით მას მერე, რაც ფეხბურთის თამაშს თავი დაანებეთ?**

— ჩემი მთავარი საქმე ფეხბურთის კლუბ „ნიანის" ხელმძღვანელობაა. ეს გახლავთ საფეხბურთო სკოლა, რომელშიც თოთხმეტიდან ოც წლამდე ასაკის ორმოცი ფეხბურთელი ვარჯიშობს. კლუბის პირველი გუნდი ახლახან ქვეყნის პირველ დივიზიონში გადავიდა, რომლის ზევითაც ერთი ლიგა კიდევ არის. ვცდილობთ მაქსიმალურად ხშირად ვითამაშოთ ევროპაში და ამისათვის თითქმის ნებისმიერ მოწვევაზე თანხმობას ვამბობთ. ცოტა ხნის წინ შვეიცარიაში გახლდით, სადაც ტურნირზე ვიყავით დაპატიჟებული და ფინალში „კაიზერსლაუტერნთან" პენალტებით წავაგეთ. მე ამ კლუბში ბევრი საზე მაქვს. ვარ თავმჯდომარე, მწვრთნელი და ნდობით აღჭურვილი პირიც (იცინის). მოკლედ ჩემი დროის დიდ ნაწილს ამ გუნდთან ვატარებ და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ვგრძნობ, რომვალდებული ვარ ჩემი 20 წლის მანძილზე ნაგროვები ევროპული გამოცდილება ახალგაზრდებს გავუზიარო.

**— ფიფაშიც ხომ ხართ დაკავებული?**

— დიახ, ფეხბურთის კომისიის წევრი გახლავართ და აგრეთვე მთხოვეს რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ელჩი ვიყო, რაც სიამაყით აღმავსებს. ჩემი ამოცანაა მთელ მსოფლიოში ვიმოგზაურო და ყველას ავუხსნა, რომ ადამიანი კანის ფერის მიუხედავად ადამიანია, ხოლო ფეხბურთი ხალხის დაახლოების და მათ შორის ბარიერების მოხსნის საუკეთესო საშუალებაა. დიდი სურვილი მაქვს ამ მხრივ აქტიურობა რაც შეიძლება მალე დავიწყო.

**— და განის ფეხბურთის ფედერაციაში რაღას აკეთებთ?**

— ფიფასა და განის ფეხბურთის ფედერაციას შორის შუამავალი გახლავართ. ჩემი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობები კარგი რომ იყოს. ამასწინადაც, მაგალითად, ციურიხში იმიტომ ჩავედი, რომ განის ფეხბურთის ფედერაციის წესდება განმეახლებინა და თანამედროვეობისთვის მიმესადაგებინა.

**— რას იტყვით მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევზე, როგორ მიდის იგი განელთათვის?**

